



# თბილისის სააქრონომიკო აკადემია

მეცნიერება იწყობა აქ



2019-2025

საბინათმშენებლო განვითარების გეგმა

## შესავალი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია (თსა) წარმოადგენს თვითმმართველობის პრინციპით მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას – სასწავლო უნივერსიტეტს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და თსა-ს დებულების საფუძველზე. მის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს მდგრადი განვითარება და სწრაფვა სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და განხორციელებისკენ.

მიმდინარე ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესები, ასევე საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები, წარმოადგენენ თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის გამოწვევას, რომელიც მას მუდმივი განვითარებისკენ უბიძგებს.

თბილისის სამედიცინო აკადემიამ გააცნობიერა რა აღნიშნული პროცესების მნიშვნელობა და მათი ზეგავლენა დაწესებულების საქმიანობაზე, ზემოხსენებული გამოწვევების გათვალისწინებით შეიმუშავა გრძელვადიანი - 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების და საშუალოვადიანი - 3 წლიანი სამოქმედო გეგმა.

## პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მისია და ხედვა 2025

**მისია:** „თსა, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ინოვაციური მიდგომით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებას. ამავდროულად, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებით წვლილი შეაქვს საქართველოს საზოგადოების განვითარებაში“.

თსა მიზნად ისახავს შეუქმნას სტუდენტებს, მკვლევარებს და აკადემიის პერსონალს მიმზიდველი გარემო სწავლის, სწავლების, კვლევისა და მუშაობისათვის.

სამედიცინო სფეროს მუდმივი ცვალებადობისა და თანამედროვე გამოწვევების პასუხად, თსა მისწრაფვის კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობით დაიმკვიდროს ადგილი როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო რუკაზე.

აკადემია აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და ისწრაფვის რათა ზედმიწევნით გაუმკლავდეს არსებულ გამოწვევებს და გაამართლოს დაკისრებული მოლოდინი.

### ღირებულებები

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) ხედვა 2025 წლისთვის დაფუძნებულია შემდეგ ღირებულებებზე:

**ხარისხი და აკადემიური წარჩინება:** თსა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხისა და აკადემიური მოსწრების ხელშეწყობას მისი საქმიანობის ნებისმიერი ეტაპის განხორციელებისას იქნება ეს სწავლა, კვლევა თუ სამეცნიერო საქმიანობა.

**ინსტიტუციური მთლიანობა, ნდობა და პატივისცემა:** თსა ისწრაფვის შექმნას ნდობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სრულფასოვანი გარემო, ინდივიდუალური, აკადემიური და ინსტიტუციური მთლიანობის დანერგვის და ამაღლების გზით.

**კვლევა, ინოვაცია და შემოქმედებითობა:** თსა ინოვაციებზე და შემოქმედებით თავისუფლებაზე დაფუძნებული ღონისძიებების გატარების გზით ხელს უწყობს აკადემიური, ასევე სტუდენტური კვლევებისა და სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას.

**ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება:** თსა მისწრაფვის ეთიკურ და აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული გარემოს შექმნისკენ, რათა უზრუნველყოს მომავალ სამედიცინო პროფესიონალებს და მკვლევარებს შორის კოლეგიალური პატივისცემის,

აკადემიური კეთილსინდისიერების, სამართლიანობის, საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვა და გაღვივება.

**აზრის გამოხატვის თავისუფლება:** თსა ემხრობა ცივილიზებულ და კონსტრუქციულ გარემოში აზრებისა და იდეების თავისუფლად გამოხატვას, მათ შორის აკადემიური სწავლებისა და კვლევების საკითხებში.

**სოციალური პასუხისმგებლობა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულება:** თსა აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე მოამზადოს საერთაშორისო ცოდნით აღჭურვილი, ასევე მაღალეთიკური ღირებულებების მქონე პროფესიონალები და მომავალი მკვლევარები.

## ხედვა 2025

2025 წლისთვის თსა-ს სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს იმ უნიკალური და განსხვავებული საგანმანათლებლო ასპექტების და არსებული უპირატესობების განვითარება და ხელშეწყობა, რომელთა არსებობასაც განაპირობებს აკადემიის უნიკალური მრავალწლიანი გამოცდილება და მაღალკვალიფიციური პერსონალი.

## 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების მიზნები\*

<p><b>სტრატეგიული განვითარების მიმართულება I</b> - ადამიანური რესურსების შემდგომი განვითარება</p>	<p><b>მიზანი 1</b> – მაღალკვალიფიციური გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც იზიარებს თსა-ს ინსტიტუციურ (ხარისხის) კულტურას</p>	<p><b>ქმედება 1</b> – თსა-ს განვითარებადი მოთხოვნების შესაბამისი ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის მოზიდვა.</p> <p><b>ქმედება 2</b> – თსა-ს განვითარებადი მოთხოვნების შესაბამისი ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის შენარჩუნება</p> <p><b>ქმედება 3</b> - თსა-ს ახალი გამოწვევების საპასუხოდ შესაბამისი ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარება.</p>
---	--	--

სტრატეგიული  
განვითარების  
მიმართულება II -  
საგანმანათლებლო  
პროგრამების  
განვითარება

მიზანი 1 – არსებული  
საგანმანათლებლო პროგრამების  
მუდმივი გაუმჯობესება

მიზანი 2 – ახალი საგანმანათლებლო  
პროგრამების შექმნა და დანერგვა

ქმედება 1 – ინოვაციური სწავლებისა  
და შეფასების მეთოდების მუდმივი  
ანალიზი და დანერგვა  
საგანმანათლებლო პროგრამებში  
ქმედება 2 – არსებული  
პროგრამების შემდგომი განვითარება  
დაინტერესებული მხარეების  
საჭიროებების ანალიზის მიხედვით  
ქმედება 3 – საგანმანათლებლო  
პროგრამის მართვის  
ელექტრონული სისტემის განვითარება

ქმედება 1 – აკადემიის რესურსებისა  
და დამსაქმებლის კვლევის შედეგების  
ანალიზი  
ქმედება 2 – ახალი პროგრამების შექმნა  
და დანერგვა

სტრატეგიული  
განვითარების  
მიმართულება III -  
კვლევითი კომპონენტის  
შენარჩუნება  
და განვითარება

მიზანი 1 – კვლევის განვითარება

მიზანი 2 – კვლევის ხარისხის  
გაუმჯობესება

ქმედება 1 - საგრანტო პროგრამებში  
მონაწილეობა

ქმედება 2 - ახალგაზრდა  
მეცნიერთა და სტუდენტთა  
სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის  
ხელშეწყობა

ქმედება 3 – კვლევის დაფინანსების  
ეფექტურობის გაუმჯობესება

ქმედება 4 - გამოყენებითი კვლევების  
ინიცირება

ქმედება 1 – კვლევის ხარისხის  
ეტაპობრივი გაუმჯობესება



**სტრატეგიული  
განვითარების  
მიმართულება IV** - თსა-ს  
სოციალური  
პასუხისმგებლობის და  
საზოგადოებაში  
ჩართულობის  
გამძლიერება

**მიზანი 1** – საზოგადოების  
ცნობიერების ამაღლება ჯანდაცვის  
პრობლემური საკითხების შესახებ

**მიზანი 2** – სოციალურად აქტიური  
პროფესიონალების ჩამოყალიბება

**მიზანი 3** – ინსტიტუციაში დაგროვილი  
ცოდნის გაზიარება საზოგადოების  
ტრანსფორმაციისათვის

**ქმედება 1** - ჯანდაცვის სფეროში  
პრობლემური საკითხების განსაზღვრა  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის  
სხვადასხვა სტრუქტურებთან მჭიდრო  
ურთიერთთანამშრომლობით  
**ქმედება 2** - განსაზღვრული  
პრობლემური საკითხების შესახებ  
ინფორმაციის გაზიარება  
საზოგადოებისთვის

**ქმედება 1** - სოციალური პროექტების  
დაგეგმვა და განხორციელება,  
რომელიც მიზნად ისახავს იმ  
პიროვნული უნარ-ჩვევების  
გამომუშავებას, რომელიც ხელს  
შეუწყობს სტუდენტებს სოციალურად  
აქტიურ პროფესიონალებად  
ჩამოყალიბებაში

**ქმედება 2** - სოციალური პროექტების  
დაგეგმვა და განხორციელება,  
რომელიც განაპირობებს სოციალურად  
აქტიური პროფესიონალების  
ჩამოყალიბებისათვის პიროვნული  
უნარ-ჩვევების გამომუშავებას

**ქმედება 1** - საზოგადოებასთან  
გაზიარებული გამოყენებითი კვლევის  
რაოდენობის გაზრდა

<p><b>სტრატეგიული განვითარების მიმართულება V</b> - თსა-ს პროცესებში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება</p>	<p><b>მიზანი 1</b> – სტუდენტური გაერთიანებების არსებობა, რომელიც იზიარებს თსა-ს ინსტიტუციურ (ხარისხის) კულტურას</p> <p><b>მიზანი 2</b> – სტუდენტების ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება</p>	<p><b>ქმედება 1</b> - სტუდენტური ორგანიზაციების შექმნის ხელშეწყობა</p> <p><b>ქმედება 2</b> - სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა თსა-ს მმართველობით პროცესებში და ხარისხის უზრუნველყოფაში</p> <p><b>ქმედება 1</b> – სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება თსა-ს ადმინისტრაციულ პროცესებში</p>
---	---	---

<p><b>სტრატეგიული განვითარების მიმართულება VI</b> - თსა-ს მდგრადი ზრდა და განვითარება</p>	<p><b>მიზანი 1</b> – თსა-ს სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ინფრასტრუქტურის განვითარება</p> <p><b>მიზანი 2</b> – ამბულატორიული საუნივერსიტეტო კლინიკის მოდელის შექმნა და შემდგომი განვითარება</p> <p><b>მიზანი 3</b> - კვლევაზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება</p> <p><b>მიზანი 4</b> - ბიბლიოთეკის მუდმივი განვითარება</p> <p><b>მიზანი 5</b> - სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდა</p>	<p><b>ქმედება 1</b> - არსებული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება</p> <p><b>ქმედება 1</b> – სასწავლო - კვლევითი ლაბორატორიის შემდგომი განვითარება</p> <p><b>ქმედება 2</b> - სიმულირებული სასწავლო გარემოს შემდგომი განვითარება</p>
---	--	--